ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

რა არის **ეკო ეტიკეტი** ?

ინფორმაცია მწარმოებლისათვის

ეტიკეტი, რომელიც ეხმარება მომხმარებლებს, აირჩიონ პროდუქცია ან მომსახურება კონკრეტული სოციალური და გარემოს დაცვისაკენ მიმართული კრიტერიუმების მიხედვით.

ინსტრუმენტი, რომელიც იცავს გარემოს და ამავდროულად განასხვავებს თქვენს პროდუქციას ან მომსახურებას კონკურენტებისაგან.

რეკლამის საშუალება, რომელიც ზრდის პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვის დონეს.

საბაზრო ინსტრუმენტი, რომელიც ნებაყოფლობითია.

იცით თუ არა, **რომ...** ?

ბოლო 6 წლის განმავლობაში მდგრადი წარმოების პროდუქტების გაყიდვა ორჯერ მეტად გაიზარდა, ჩვეულებრივ ბაზარტან შედარებით.[1] არსებობს მეტი მდგრადი წარმოების პროდუქტის და მომსახურების შეთავაზების შესაძლებლობა, რათა გავზარდოთ მომხმარებელთა სეგმენტი, ახალგაზრდა თაობის ჩათვლით.

25 ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვაში რესპოდენტების 64% ამბობს, რომ მათ სურთ შეამცირონ თავიანთი პირადი მავნე ზეგავლენა გარემოსა და ბუნებაზე. 44% თავს დამნაშავედ გრძნობს გარემოზე მათი ამჟამინდელი მავნე გავლენის გამო.[2]

მომხმარებელთა არჩევანი გლობალურად იცვლება, არა მხოლოდ განვითარებულ ბაზრებზე. გამოკითხულთა 35%-ზე მეტი ახლადშექმნილ ან განვითარებად ბაზრებზე (განვითარებული ბაზრების 28%-ის წინააღმდეგ) ამბობს, რომ ისინი ყიდულობენ მდგრადი წარმოების პროდუქციას.[3]

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მხოლოდ უკრაინას გააჩნია პრველი ტიპის ეკო ეტიკეტი (Green Crane), რომელიც დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციისაგან მიიღო.[4]

[1] **Sustainable Market Share Index.** Center for Sustainable Business, 2021.
[2] **GlobeScan**, 2022.
[3] **Euromonitor International**, 2021.
[4] **Green Crane Ecolabel**, n.d.

Design: Zoi Environment Network

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ეკო ეტიკეტის სხვადასხვა ტიპები

ინფორმაცია მწარმოებლისათვის

ეტიკეტების მიმოხილვა გარემოს დაცვისათვის საუკეთესოდ გამოყენებისათვის

	ეკოეტიკეტი I ტიპი	სერთიფიცირების სქემა ან მდგრადობის ეტიკეტი I ტიპის მსგავსი	თვითდეკლარირება II ტიპი	ეკოლოგიური პროდუქტის დეკლარაცია III ტიპი
ISO სტანდარტი	ISO 14024		ISO 14021	ISO 14025
მესამე მხარე დადასტურებული	✓	✓	აუცილებელი არ არის, რეკომენდირებულია	✓
სასიცოცხლო ციკლზე დამყარებული	✓	✓	იშვიათად	როგორც წესი
ფოკუსირება გარემოზე	გარემოს დაცვის (და სოციალური) სრული კრიტერიუმი	გარემოზე სპეციფიკური ზემოქმედება	გარემოზე სპეციფიკური ზემოქმედება	საერთო გავლენა (ზოგჯერ მატრიცის სახით)
პროდუქტების შედარების შესაძლებლობა	ზოგჯერ	ზოგჯერ	---	როგორც წესი
კომუნიკაციის მეთოდი	ბეჭედი ან ეტიკეტი	ბეჭედი ან ეტიკეტი	დეკლარაცია ბეჭდით ან გრაფიკული გამოსახულებით	ეკოლოგიური პროდუქტის დეკლარაცია
კომუნიკაციის ტიპი	ბიზნესი-მომხმარებელი	ბიზნესი-მომხმარებელი	ბიზნესი-მომხმარებელი	ბიზნესი-მომხმარებელი

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

რა სარგებლობა მოაქვს ეკო ეტიკეტს ?

ინფორმაცია მწარმოებლებისათვის

ეკო ეტიკეტი ეხმარება კომპანიებს:

გაზარდონ კონკურენტუნარიანობა

- გაზარდონ მომხმარებელთა მოთხოვნა მწვანე პროდუქტებსა და სერვისებზე
- გახსნან ახალი შიდა და საერთაშორისო ბაზრები ან გააფართოვონ არსებული ბაზრები
- გააუმჯობესონ ხელმისაწვდომობა მდგრად საჯარო შესყიდვებზე



შექმნან გრძელვადიანი მდგრადი და ეფექტური წარმოება, საწყისი ინვესტიციის შემდგომ

- შეამცირონ რესურსების გამოყენება
- მიმართონ წარმოება გარემოზე მავნე ზემოქმედების შემდგომი შემცირებისაკენ

პროდუქციის პოპულარიზაცია მდგრადი ბრენდით, რომელიც იქნება გამორჩეული და მოიპოვებს მომხმარებელთა ნდობას

აიმაღლონ რეპუტაცია ბუნების დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში

უზრუნველყონ მომხმარებელი საიმედო კრიტერიუმით, რათა მათ აირჩიონ მდგრადი პროდუქტი მცირე ძალისხმევით

ეკოეტიკეტის გავლენა გარემოზე[1]

ახალი ზელანდიის გარემოს დაცვის ოფიციალური ეკო ეტიკეტით ლიცენზირებული ტუალეტის ქაღალდის გაყიდვით შესაძლებელია ახალ ზელანდიაში ყოველწლიურად 21000 ტონა ნახშირბადის მონოქსიდის გამონაბოლქვის შემცირება. (ეს არის პარიზიდან ნიუ იორკში თვითმფრინავის 21 ორმხრივი ფრენის ექვივალენტი).



ENVIRONMENTAL CHOICE NEW ZEALAND

ჩინეთის გარემოსდაცვითი მარკირების მიერ სერიფიცირებული მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობების გაყიდვით ჩინეთში 2018 წელს თითქმის 10 მილიარდი კვტ/სთ ელექტროენერგია დაიზოგა.

ინდოეთში ეკო ეტიკეტებიანი ცემენტისა და ბეტონის მოხმარების შედეგად ხდება ყოველწლიურად თითქმის 6,5 მილიონი ტონა სათბური გაზების გამოყოფის შემცირება.

[1] Measuring the Performance of Ecolabels. Global Ecolabelling Network, 2019.

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

ეკო ეტიკეტის სრულყოფილად გამოყენება

ინფორმაცია მწარმოებლებისათვის

ფრთხილად! მწვანე პიარი!

ევროკავშირის ბაზრის ბოლოდროინდელმა კვლევამ აჩვენა, რომ ვებგვერდებზე გავრცელებული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის 42% სიმართლეს არ შეესაბამება. მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას კომპანიის მიერ გარემოს დაცვის პრაქტიკის ან მისი პროდუციისა და მომსახურების ეკოლოგიური სისფთავის შესახებ ეწოდება მწვანე პიარი. ამის შედეგად მომხმარებელი ყიდულობს პროდუქტს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და არ შეესაბამება მის მოლოდინს. ეს იწვევს მომხმარებლის დაბნეულობას და ძირს უთხრის ეკო ეტიკეტების და მათი მფლობელი კომპანიების სანდოობას.

მწვანე პიარის თავიდან ასაცილებლად და მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ნდობის გასამყარებლად აუცილებელია, რომ მწარმოებელმა სწორი საბაზისო ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს თავისი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შესახებ.

როგორ მივაწოდოთ მომხმარებელს ინფორმაცია პროდუქციის მდგრადობის შესახებ[1]

მნიშვნელოვანია მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სასიცოცხლო ციკლის მოქმედებას, რათა მოხდეს გარემოზე პოტენციური და ფაქტობრივი ზემოქმედების განსაზღვრა (რესურსების მოპოვებიდან დაწყებული მისი მოხმარებით დამთავრებული). ინფორმაცია მდგრადობის შესახებ დამყარებული უნდა იყოს შემდეგ ხუთ ფუნდამენტურ პრინციპზე:

- **სანდოობა**
- **გამჭვირვალობა**
- **რელევანტურობა**
- **ხელმისაწვდომობა**
- **სიზუსტე**



გარდა ამისა, გაითვალისწინეთ პროდუქციის მდგრადობის ეკონომიკური,სოციალური და გარემოს დაცვის ყველა მიმართულება, ხაზგასმით აღნიშნეთ თქვენი პროდუქციის ან მომსახურების გრძელვადიანი დადებითი გავლენა, მოძებნეთ თქვენი გზავნილის გავრცელების ინოვაციური გზა, ითანამშრომლეთ პარტნიორებთან თქვენი სანდოობის გასაძლიერებლად და დაეხმარეთ მომხმარებელს, რომ მან შეძლოს თქვენი პროდუქციის შედარება სხვასთან.

[1] **Guidelines for Providing Product Sustainability Information.** United Nations Environment Programme, 2017. https://app-onet.tbf.dev/sites/default/files/from-crm/guidelines_executive_summary.pdf

Video. Guidelines for Providing Product Sustainability Information. United Nations Environment Programme, 2021. https://www.youtube.com/watch?v=wOOBn_RUKVE.

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

როგორ მივიღოთ პირველი ტიპის ეკო ეტიკეტი

ინფორმაცია მწარმოებლისათვის



1. გაარკვიეთ რომელი ეკოეტიკეტია ხელმისაწვდომი თქვენი
2. გააკეთეთ ინვესტიცია
3. შეცვალეთ საქონლი მოთხოვნების შესაბამისად
4. წარადგინეთ განაცხადი
5. გააკეთეთ რეკლამა და მიიღეთ მოგება

როგორ მივიღოთ ევროკავშირის ეკო ეტიკეტი და მოვახდინოთ პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე

ევროკავშირის ეკო ეტიკეტი არის პირველი ტიპის მინიჭების სქემა, რომელსაც მართავს ევროკომისია და ევროკავშირის წევრი ქვეყნები. ეკო ეტიკეტი ხელმისაწვდომია 11 ჯგუფის პროდუქტისათვის - საწმენდი საშუალებები, ტანისამოსი და ქსოვილები, სხვადასხვა მასალის საფარი, საკუთარი ხელით შექმნილი პროდუქცია, ელექტრონული მოწყობილობები, ავეჯი და მატრასები, მებაღეობა, დასასვენებელი ადგილები, ლუბრიკანტები, ქაღალდი, პირადი ჰიგიენის და ცხოველთა მოვლის საშუალებები. მიმდინარეობს მუშაობა ამ სიის გაზრდაზე.

შვიდი საფეხური ევროკავშირის ეკო ეტიკეტის მოსაპოვებლად

1. დაუკავშირდით კომპეტენტურ ორგანოს - დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია ეკო ეტიკეტის მოთხოვნაზე განაცხადის მიღებასა და ლიცენზიაზე ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი პროდუქცია არის ან იქნება გაყიდვაში. კომპეტენტური ორგანო მოგცემთ მითითებებს შემდგომი ნაბიჯების შესახებ.
2. დაარეგისტრირეთ თქვენი პროდუქცია ან მომსახურება ევროკავშირის ეკო ეტიკეტების ონლაინ კატალოგში (ECAT) ან ევროკავშირის ეკო ეტიკეტების ტურისტთა განსახლების კატალოგში.
3. შეადგინეთ თქვენი განაცხადის დოსიე ისეთი სახით, რომ კომპეტენტურმა ორგანომ შეძლოს კრიტერიუმებთან თქვენი შესაბამისობის შეფასება.
4. წარმოადგინეთ თქვენი განაცხადი, გადაიხადეთ განაცხადის ღირებულება და ყოველწლიური გადასახადი.
5. დაელოდეთ თქვენი განაცხადის განხილვას.
6. მიიღეთ თქვენი განაცხადის დადასტურება და ეკო ეტიკეტის ლიცენზია.
7. გაუკეთეთ რეკლამა ეკო ეტიკეტის მქონე თქვენს პროდუქციას ან მომსახურებას.



ევროკავშირის ეკო ეტიკეტის ღირებულება[1]

ევროკავშირის ეკო ეტიკეტის ღირებულება დამოკიდებულია თქვენი საწარმოს ტერიტორიულ მდებარეობასა და სიდიდეზე. საფასური შედგენს განაცხადის ღირებულებას, (200-დან 2000 ევრომდე), წლიური გადასახადი (მაქსიმუმ 18,750 ევრო მიკრო,მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოებისათის და განვითარებადი ქვეყნების საწარმოებისათვის) და შემოწმების ხარჯები. პროდუქტის ადაპტირებას, რათა მან დააკმაყოფილოს ეკო ეტიკეტის კრიტერიუმები ,და ლიცენზიის მოდიფიცირებას შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ხარჯები.

[1] **EU Ecolabel - How to apply.** European Commission, n.d. https://environment.ec.europa.eu/topics/circular-economy/eu-ecolabel-home/how-apply_en

www.eu4environment.org

©2022 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoi Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP